




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაბუკაშვილი მერაბ დავითის ძე



მ. თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი.
ფუშე, ვ. სარდუს "მადამ
სან ჟენი".

თაბუკაშვილი მერაბ დავითის ძე (დ. 5. V. 1925, თბილისი), მსახიობი. საქართველო. დამს. არტისტი (1965). 1948 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1948-55 შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის, ხოლო 1956-იდან კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის მსახიობი იყო. ძირითადად ასრულებდა სახასიათო როლებს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მირეკი (ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“), პალიკო (ნ. აზიანის „უკანასკნელი მასკარადი“), ტრავერსენი (კ. გოლდონის „საპატარძლო აფიშით“), ლევან ბატონიშვილი (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), ედუარდ, უელსის პრინცი, ბალთაზარი (უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“, „აურზაური არაფრის გამო“), ფუშე (ვ. სარდუს „მადამ სან ჟენი“), ბანკის დირექტორი (მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“), რიკარდო (ედუარდო დე ფილიპოს

„ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქი“) და სხვ. თ. ავტორია მრავალი წერილისა ქართველ ხელოვანთა შესახებ. ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას ესტრადის ქართველ მოღვაწეთა პროპაგანდისათვის. ამზადებდა და აწყობდა რუს. რომანსის საღამოებს, თანამშრომლობდა (საორგანიზაციო საკითხებში) დეზ იშხნელებთან. თ-ის ძალისხმევით თბილისში გადმოასვენეს მოსკოვში მოღვაწე ცნობილი ქართველ მომღერლის, რუს. რომანსის უბადლო შემსრულებლის თ. წერეთლის ნეშტი, დაკრძალეს ქართველ მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.